ესტონური დღეები

2-4 ნოემბერი
თბილისში

2–დან 4 ნოემბერის ჩათვლით საქართველოში ესტონური დღეები გაიმართება. სამი დღის განმავლობაში ჩვენი ქალაქის მაცხოვრებლებსა და სტუმრებს შესაძლებლობა ექნებათ, უკეთ გაეცნონ ესტონურ კულტურას, კულინარიას, განათლებასა და მეცნიერებას. ესტონური დღეები საგანმანათლებლო ღონისძიებებსაც მოიცავს, რომელთა მეშვეობით საზოგადოება მიიღებს ინფორმაციას ესტონეთში უმაღლესი განათლების მიღების შესაძლებლობებზე, დაესწრებიან სხვადასხვა საინტერესო ლექციებს, სემინარებსა და ვორქშოპებს.

ესტონური დღეების ფარგლებში **2 ნოემბერს,** თბილისის კონსერვატორიაში გაიმართება ესტონეთის მუსიკისა და თეატრის აკადემიის და თბილისის კონსერვატორიის ერთობლივი კონცერტი „ასე შორს და ასე ახლოს: ტალინიდან თბილისამდე"

4 ნოემბერს ღონისძიების დასკვნითი ნაწილი ჩატარდება ფაბრიკის ტერიტორიაზე (Fabrika) სადაც გაიმართება ესტონეთის საგანმანათლებო ბაზრობა, ცნობილი ესტონელი მომღერალი მარია ნუტის კონცერტი, სემინარი ესტონეთის ენისა და კულტურის შესახებ. სტუმრები ესტონური საშზარეულოს დაგემოვნებასაც შეძლებენ და ცნობილი უნივერსიტეტების წარმომადგენლებისგან გაიგებენ თუ რა შესაძლებლობები არსებობს ესტონეტში სწავლის გასაგრძელებლად.

4 ნოემბრის დასკვნით ღონისძიებაზე, სტუმრებს უმასპინძლებენ: ესტონეთის წამყვანი უნივერსიტეტების პროფესორები, ესტონეთის ახლად დანიშნული ელჩი საქართველოში ქ-ნ კაი კარელსონი, ესტონეთის მთავრობის და სხვა ესტონური ორგანიზაციების მაღალჩინოსნები.

<u>პროექტის ორგანიზატორები არიან:</u>
ესტონეთის საელჩო საქართველოში, ფონდი არქიმედე და ორგანიზაცია – " ისწავლე ესტონეთში".

STUDY in ESTONIA .ee

For education and research in Estonia
ARCHIMEDES

Embassy of Estonia in Tbilisi

Euroopa Liit
Euroopa Regionaalarengu Fond

Eesti tulevikku heaks